შ.პ.ს. “კონსტუდიო”

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, ს/კ 01.14.16.008.073, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი, შენობა N1 (ბლოკები N1, N2, N3, №4, №5, №7, №9) პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2023

განსახილველი საპროექტო დოკუმენტაცია:

1. შპს “გეოინჟკომპლექსი”-ს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
2. შპს "დმ სტუდია"-ს არქიტექტურული პროექტის ელექტრონული (pla) ვექტორული ფაილი.
3. შპს "დმ სტუდია"-ს პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ელექტრონული (pdf) ფაილი.
4. "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით შესრულებული კონსტრუქციების მოდელირება-გაანგარიშების (chg) ფაილი.

საერთო:

საპროექტო შენობა 5 სართულიანია, ერთი მიწისქვეშა სართულით. კონსტრუქციულად დაყოფილია 7 დამოუკიდებელ ბლოკად. სამშენებლო უბნისათვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა – 0.50 კპა; საანგარიშო სეისმურობა – 8 ბალი.

შენობისთვის საძირკვლების ფუძედ მიღებულია ძნელპლასტიკური კონსისტენციის სრულად წყალგაჯერებულ თიხა (ფენა №2): $\varphi = 16^0$; E = 15 მპა, c=43 კპა. საძირკვლებად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილა სისქით 50 სმ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასული სისტემით: სვეტები განიკვეთით 400X400, 200X200; კოჭები განიკვეთით 400X550(h), 200X550(h); 200 მმ სისქის გადახურვის ფილები და კედლები სისქით 200 მმ. მზიდი კონსტრუქციებისათვის ბეტონის კლასი მიღებულია B30. სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია AIII, AI.

შენობის ფუძე-საძირკვლების და მზიდი სისტემის სივრცული მოდელირება-გაანგარიშება შესრულებულია "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით. მოცემული კონსტრუქციული ნაწილის მხაზველობითი ნაწილი (განიკვეთები და არმირება) შეესაბამება და ასახავს კომპიუტერული მოდელირება-გაანგარიშების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შედეგებს. წარმოდგენილი საპროექტო მუშა დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს. ცალკეული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირებული იქნა ჩვენს მიერ, პროექტის ავტორებმა გაითვალისწინეს, მიიღეს და ასახეს მუშა დოკუმენტაციის საბოლოო ვერსიაში.

<u>დასკვნა:</u>

წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება



ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, ედიშერ ტმდ, შპს “კონსტუდიო”-ს დირექტორი წოწერია

თბილისი 10-10-2023